მესაკუთრის თანხმობა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების (მშენებლობის) ჩატარების შესახებ

ქ. თბილისი

16 აპრილი 2024 წელი

1. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე თანხმობაში გამოყენებული ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად :

1) **უძრავი ქონება** : ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N25-ში მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდით :
N 01.10.15.010.029.01.02.002;

2) **მესაკუთრე** - უძრავი ქონების მესაკუთრე : შპს „ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენთ" (ს/ნ : 402187450);

3) **მოიჯარე** - უძრავი ქონების მოიჯარე : სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი" (ს/ნ: 404476189);

4) **არქიტექტურის სამსახური** - სსიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური";

5) **სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები** - დანართი #1-ში წარმოდგენილი რენდერების მსგავსად/შესაბამისად ჩასატარებელი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები (მშენებლობა/რეკლამის განთავსება), რომელსაც ატარებს მოიჯარე და რომლისთვისაც იგი მიმართავს არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად. კერძოდ, გარე სარეკლამო აბრის განთავსება იხ. დანართი #1;

6) **თანხმობა/ნებართვა** - მესაკუთრის მიერ გაცემული წინამდებარე თანხმობა/ნებართვა.

2. თანხმობის საგანი

2.1. წინამდებარე თანხმობით შპს „ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენთ"-ი (ს/ნ: 402187450) , წარმოდგენილი მისი დირექტორის ნატო ბოჭორიშვილის მიერ, თანხმდება და გასცემს ნებართვას, რათა უძრავი ქონების ტერიტორიაზე მოიჯარემ ჩაატაროს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები;

2.2. წინამდებარე თანხმობას/ნებართვას მესაკუთრე წერილობითი ფორმით გადასცემს მოიჯარეს, მისი არქიტექტურის სამსახურში წარდგენის მიზნით.

2.3. მესაკუთრე თანახმაა გადასცეს წინამდებარე თანხმობა არქიტექტურის სამსახურს და მოიპოვოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად/რეკლამის განსათავსებლად.

3. მესაკუთრის უფლებამოსილება

3.1. თანხმობის/ნებართვის გაცემის დროისათვის მესაკუთრე არის/იქნება ქმედუნარიანი (მათ შორის, შექმნილი კანონმდებლობით დადგენილი წესით) და გააჩნია ამ თანხმობის გაცემის უფლებამოსილება;

3.2. თანხმობის/ნებართვის გაცემის დროისათვის შპს „ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენთ"-ი წარმოადგენს უძრავი ქონების ერთადერთ მესაკუთრეს და უფლებამოსილია გასცეს უძრავი ქონების ტერიტორიაზე სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით თანხმობები/ნებართვები;

3.2.1. მესაკუთრის საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ამონაწერით.

3.3. წინამდებარე თანხმობა/ ნებართვა გაიცემა მესაკუთრის მიერ ნებაყოფლობით, მოიჯარის ან მესამე პირის მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

4. დამატებითი პირობები

4.1. წინამდებარე თანხმობა წარედგინება სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს“, მოიჯარეს მიერ შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად.

4.2. წინამდებარე თანხმობა შედგენილია კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით.

4.3. წინამდებარე თანხმობა გაიცემა ერთჯერადად, შესაბამისი სამუშაოების ჩასატარებლად არქიტექტურის სამსახურისგან ნებართვის მოპოვების მიზნით.

4.4. წინამდებარე თანხმობა/ნებართვა შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, ერთი მოიჯარეს, ხოლო ერთი არქიტექტურის სამსახურს.

5. მესაკუთრის ან/და მისი წარმომადგენლის ხელმოწერა:

შპს ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენთ

ს/ნ: 402187450

იურ. მის: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N171, ბინა N1

დირექტორი

ნატო ბოჭორიშვილი

ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენთ
402187450

ბ.ა.

მესაკუთრის თანხმობის დანართი N1

ქ. თბილისი

16 აპრილი 2024 წელი

1. **რენდერები**

1.1. წინამდებარე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები უნდა ჩაატაროს მოიჯარემ შემდეგი რენდერების შესაბამისად:



2. **მესაკუთრის ან/და მისი წარმომადგენლის ხელმოწერა:**

შპს ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენთ

ს/ნ: 402187450

დირექტორი

ნატო ბოჭორიშვილი

ჯორჯიან ფროფერთი მენეჯმენთ 402187450